

## მეორე რაჟულთას წიგნისმიერი ისტორიისისტული თხრობები ბიბლიაში

მირიან გამრეკელაშვილი\*

ბიბლიაში, ძველი აღთქმის წიგნთა კორპუსის იმ მონაკვეთებს, რომლებიც, ენობრივი და თეოლოგიური თვალსაზრისით, ძალიან ახლოს დგანან მეორე რაჟულთას წიგნთან, დასავლურ ბიბლიესტიკაში დოიტორონომიულ – მეორე რაჟულთას წიგნისმიერი ისტორიისისტულ თხრობებად მოიხსენიებენ.<sup>1</sup> შინაარსობრივად ისინი მოიცავენ მონაკვეთს, ებრაელი ხალხის უდაბნოში ხეციალის შემდეგ აღთქმულ მინაზე დამკვიდრების დასაწყისიდან მეფეთა ეპოქის დასასრულამდე. რამდენადაც თემა სადღეისოდაც განსაკუთრებული სამეცნიერო კვლევის ობიექტია. წინამდებარე სტატია ამ საკითხის ირგვლივ ევროპულ ბიბლიესტიკაში განხორციელებული, მრავალეტაპიანი გამოკვლევის ისტორიის მნიშვნელოვანი ასპექტების თავმოყრის მცდელობაა.


გამოკვლევათა ხსენებული სერია უკავშირდება ბიბლიურ ტექსტებს, მოსეს ხუთწიგნეულის ბოლო ნაწილს, რომელსაც თავად ამ ტექსტის ერთი მონაკვეთის გამო (მეორე რაჟ. 17,18) „წიგნი მეორე რაჟულთა“ – (ებრ. **דְּבָרֵי מֹשֶׁה** – მიშნე ჰათორა ჰაცოთ) ეწოდა; ეს მონაკვეთი სეპტუაგინტას თარგმანებისას ბერძნულად ითარგმნა როგორც დოიტორონომიონი (**τὸ Δευτερονόμιον**) რომლისგანაც წარმოსდგება კიდევ წიგნის საერთშორისო დასახელებაც და შესაბამისად ტერმინიც: დოიტორონომიული ისტორიისისტოზმი.<sup>2</sup> ამ ცნებით აღნიშნული ტექსტუალური მონაკვეთების თეოლოგიურ განზრახულობას წარმოადგენდა იდეა, რომ ისრაელს თავსგადამხდარი ისტორიული განსაცდელები გამოწვეულნი არიან უფლის მიმართ ურჩობის გამო.

\*სულხან საბა ორბელიანის უნივერსიტეტი m.gamrekelashvili@sabauni.edu.ge

<sup>1</sup> პუბლიკაციის მთავარი საკითხის დასახელება ქვემოთ წარმოდგენილი იქნება შემდეგი შემოკლებული სახით: II რაჟ.ისტ.თხ.

<sup>2</sup> McBride D.Jr., Roth W., Deuteronomistisches Geschichtswerk/Deuteronomistische Schule, In: Theologische Realenzyklopädie (TRE) [G.III.-H.I], Krause Gerhard, Gerhard Müller Landesbischof i.R. Prof. Dr. Gerhard Müller u. A. (Hrsg.), De Gruyter 2010, 543.

დასავლურ ბიბლესტიკაში არსებობს სამეცნიერო თეორია, მოსეს ხუთნიგნეულის (თორა), მოგვიანო, ოთხი ძირითადი რედაქციული შრის შესახებ.<sup>3</sup> განსხვავებულ ეპოქაში მოღვაწე, სხვადასხვა მეცნიერის მიერ წარმოებულ კვლევათა შინაარსი, დაჯამებული სახით წარმოადგენს მტკიცებას, რომლის მიხედვითაც მოსეს ხუთნიგნეულის ჩვენამდე მოღწეული ვერსია არის საბოლოო შედეგი ოთხი ეპოქალური: იაჰვისტური [J] (950 ჩვ.წ. აღ.მდე), ელოჰისტური[E] (800 ჩვ.წ. აღ.მდე), ლევიტისტა [P,R] (ბაბილონის ტყვეობის პერიოდი, 550 ჩვ.წ. აღ.მდე) და მეორე რჯულთას წიგნისმიერი ისტორიციისტული [DH] (VII ს. ჩვ.წ. აღ.მდე) რედაქციისა:<sup>4</sup>



5

კვლევის დასაწყისად შეიძლება ჩაითვალოს მონოლოგების, ლოცვებისა და ისტორიული მოვლენათა განმარტებითი შენიშვნების შემცველი იმ მონაკვეთების იდენტიფიცირება, რომლებიც ენობრივი, თეოლოგიური თვალსაზრისით, მსგავსების გარდა ქმნიან ერთიან სტრუქტურულ ჩონჩხს და აშკარად ლიტერატურული თხრობის ქრონოლოგიური შეკვრის ფუნქციაც გააჩნიათ. თუბა იმის შესახებ, რომ მეორე რჯულთას წიგნისმიერი, ისტორიციისტულ თხრობათა ტექსტები, რედაქტორის მიერ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ნყარობის მოგვიანო დროინდელი გადამუშავების შედეგია, მათი ნარაციული სახით დალაგების მიზნით, პირ-

<sup>3</sup> შდრ. Kaiser O., *Einleitung in das Alte Testament, Eine Einführung in ihre Ergebnisse und Probleme*, Gütersloh, 1978, 41-125.

<sup>4</sup> შდრ., *Einleitung in das Alte Testament*, E. Zenger (Hgg.), Stuttgart, 1996, 34-122.

<sup>5</sup> New World Encyclopedia, <[https://www.newworldencyclopedia.org/entry/documentary\\_hypothesis](https://www.newworldencyclopedia.org/entry/documentary_hypothesis)> [04.09.2021]

ველად 1805 წელს გააჟღერა გერმანელმა პროტესტანტმა თეოლოგმა და რელიგიის ანთროპოლოგმა ვილჰელმ დე ვეტმა (Wilhelm Martin Leberecht de Wette, 1780-1849) საკუთარ დისერტაციაში „Dissertatio critico-exegetica qua Deuteronomium a prioribus Pentateuchi libris diversum, alius cuiusdam recentioris auctoris opus esse monstratur (კრიტიკულ-ეგზეგეტიური გამოკვლევა მასზედ, რომ მეორე რჯულთას წიგნი თორის შემადგენლობაში მოგვიანოდ შესული გვიანდელი ავტორის ნაშრომია)“.<sup>6</sup> 1861 წელს, უკვე აბრაამ ქუენენი (Abraham Kuenen, 1828-1891) შენიშნავდა,<sup>7</sup> რომ რედაქტორის მიერ ისტორიის გვიანდელი რეკონსტრუქციის შესახებ თეზა შეიძლებოდა მხოლოდ ბაბილონის ტყვეობამდელ ხდომილებათა ამსახველ მონაკვეთებს მისადაგებოდა. შესაბამისად, მისი მოსაზრებით, ცალ-ცალკე უნდა გამოკვლეულიყო ტყვეობამდელი და ტყვეობის შემდგომ რედაქციათა კვალი.<sup>8</sup>

იულიუს ველენჰაუზენმა (1844-1918) გაიზიარა და განავრცო ხსენებული მეცნიერული ხედვა. მისი მოსაზრებით იაჰვისტიკა და ელოჰისტიკის მიერ განხორციელებული რედაქციის შემდეგ შექმნილ მოსეს ხუთწიგნეულის ნუსხას რიგითობის მიხედვით ებმოდა მონაკვეთები (იესო ნავეს წიგნიდან მოყოლებული), რომლებიც, სავარაუდოდ, საერთო რედაქციის შედეგად უნდა შექმნილიყო.<sup>9</sup> მათ ხელთ უკვე არსებული წყაროები კი უნდა გადაემუშავებინა კომპილატორთა ერთ ჯგუფს, რომელიც, თავის მხრივ, ისტორიული თეოლოგიის კონკრეტული ხედვის შესაბამისად ხელმძღვანელობდა.

ველენჰაუზენის ეს თეზა განავრცო და დეტალური ანალიზის სახით, საკუთარ ნაშრომებში ასახა მარტინ ნოთმა (1902-1968), ამ საკითხის ირგვლივ წარმოებული კვლევების მნიშვნელოვანმა ავტორმა. მისი აზრით, ბიბლიის წიგნთა კორპუსს მეორე რჯულთადან – მეოთხე მეფეთამდე, უნდა ჰყოლოდა, ერთი საერთო ავტორ-გადამამუშავებელი, რომელსაც გარდა კომპილაციური სამუშაოს შესრულებისა, თავადვე ახლიდან უნდა შეეთხზა ის ლიტერატურული გადაბმები, რომელიც, მისი აზრით, სადღეისოდ იდენტი-

<sup>6</sup> შდრ., de Wette, Wilhelm Martin Leberecht, <ibit.ly/WUSD> [19.06.2021]

<sup>7</sup> შდრ., Paganini S., Deuteronomistisches Geschichtswerk (DtrG). 2005

წელს განთავსებული პუბლიკაცია იხ., <ibit.ly/Mbls> [19.06.2021]

<sup>8</sup> შდრ. Simone Paganini: Deuteronomistisches Geschichtswerk (DtrG). 2005, <ibit.ly/jy9r> [19.06.2021]

<sup>9</sup> შდრ., Wellhausen J., Die Composition des Hexateuchs und der historischen Bücher des Alten Testaments, Berlin, 1876, 22; 392ff.; 531ff.

ფიცირებადნი არიან. პირობით რედაქტორს, ჯერ უნდა შეეგროვებინა მის ეპოქამდე მოღწეული გადმოცემები, ამოერჩია და მეტნაკლებად ჰარმონიული სახით დაელაგებინა მის მიერვე წინასწარვე განსაზღვრული შინაარსობრივი ფაბულის შესაბამისად, რომელიც კონცეპტუალური სახით გადმოცემულია მეორე რჯულთა 4,44-30,4 – მონაკვეთში.<sup>10</sup> რეკონსტრუირებული გადმოცემები თავმოყრილი უნდა იყოს მონაკვეთებში აღთქმული მიწის დაკავების დასაწყისის ამსახველი (იესო ნავ. 2-11) ამბებიდან, გამირთა შესახებ ამბებსა და საულ-დავითის შესახებ ისტორიაში (მსაჯ.2-12; 1მეფ. 9, – 3 მეფ. 2. ). ამასთანავე ნოთი თვლიდა, რომ რედაქტირებისას ავტორმა, ახლიდან შედგენილი ტექსტების შექმნისას, გამოიყენა შემდეგი სალიტერატურო ხერხი – მან ისტორიული პიროვნებების პირით მკითხველს წარუდგინა მონოლოგები, რომელთა დიდი ნაწილიც განვლილი ისტორიის მიზეზ-შედეგობრივ შეფასებას და ერთგვარ იდეოლოგიურ თხრობას წარმოადგენს. უკვე არსებულ წყაროთა ხელახალი რეკონსტრუქციაც და გვიან დამატებული ნაწილების ენობრივ-აზრობრივი განსხვავებაც თანმხლებ კონტექსტებთან სწორედ მათ გვიანდელ წარმომავლობაზე უნდა მიუთითებდეს. უკვე აღნიშნული ნაწილების გარდა, მარტინ ნოთის აზრით, რედაქტორის კალამს უნდა ეკუთვნოდეს შემდეგი იდენტიფიცირებული მონაკვეთებიც:

- *მეორე რჯულთა 1,1-4,43;*
- *მეორე რჯულთა 31;*
- *მეორე რჯულთა 34 ;*
- *ისუ ნავესი 1,2-9 ;*
- *ისუ ნავესი Jos 22,1-8;*
- *ისუ ნავესი Jos 23;*
- *მსაჯულნი 2,6ff;*
- *მსაჯულნი 2,11-18 ;*
- *1 მეფეთა 12;*
- *3 მეფეთა 8,14-21 ;*
- *3 მეფეთა 8,22-53;*
- *4 მეფეთა 17,7-23;*
- *4 მეფეთა 22,16f; 23,26f; 24,3f;*

---

<sup>10</sup> შდრ. აქ და ქვემოთ Noth M., *Überlieferungsgeschichtliche Studien. Teil 1: Die sammelnden und bearbeitenden Geschichtswerke im Alten Testament (Schriften der Königsberger Gelehrten Gesellschaft, Geisteswissenschaftliche Klasse 18,2)*, Halle, 1943, 43-266.

რედაქტირების უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა თხრობის მთლიან ამბად შეკვრა, ეგვიპტის ტყვეობიდან მეორე ტაძრის აღდგენამდე (480 წ. ჩვ.წ.მდე). რედაქცია აუცილებლად უნდა განხორციელებულიყო პირველი ტაძრის დაქცევის, ჩვ.წ.მდე 587 წლის შემდგომ პერიოდში, კონკრეტულად კი, მეფე იოჰაჰანის შეწყალებიდან (ჩვ.წ.დე 561 წ.) ახლო ხანს. ალბათ სწორედ ამ ფაქტორებით აიხსნება ის გარემოება, რომ ტექსტები გაჯერებულნი არიან, ნაციონალური, სოციალური და ეკონომიკური კატასტროფების შედეგად გამონეწეული შთაბეჭდილებებით. მათი გადამუშავების პროცესის ადგილად ნოთი მიიჩნევა ბიბლიურ ქალაქ მიცპას. მკვლევარის მოსაზრების მიხედვით, მთელი ეს სალიტერატურო სამუშაო უნდა შესრულებულიყო განზრახვით, – განმტკიცებულიყო წარმოდგენა, რომლის მიხედვითაც, ებრაელი ერის თავს მოწვევულ კატასტროფათა გამო პასუხისმგებლობა თავად საზოგადოებას და უპირველეს ყოვლისა კი, ხელისუფალთ ეკისრებოდათ, ვინაიდან მათ, საკუთარ ქვეშევრდომებთან ერთად უფულვებელყვეს რჯული, განუდგენ იაჰვეს, რათა უცხო კერპთათვის ეცათ თაყვანი – სწორედ ესაა დედააზრი რედაქტორის მიერ შემუშავებული ტიპიური თხრობებისა. მიუხედავად იმისა, რომ უფალი იაჰვე ისრაელს მოვლენილი განსაცდელების სახით აფრთხილებდა, მათ მხოლოდ ერთადერთი გზა დაუტოვეს – ქვეყნის სრული განადგურება. ნოთის აზრით, ხსენებულ ისტორიულ მოვლენებს მართლაც უნდა ჰქონოდა ადგილი, თუმცა მათ ამგვარ გადმოცემას მიზნად ჰქონდა მკითხველის დარწმუნება, რომ იერუსალიმის დაქცევასა და მასთან დაკავშირებული მოვლენების გამო მასაც ეკისრება თავისი წილი პასუხისმგებლობა. ნოთი საკუთარ მოსაზრებებს ასაბუთებდა ოთხი არგუმენტი:

ა. მეორე რჯულთა წიგნისა და რედაქტირებისას შემატებული ტექსტების ენობრივი მსგავსება.

ბ. იდენტური ხასიათის ინტერპრეტაცია და შეფასება ისტორიული მოვლენებისა, რომელიც გამჭოლად გასდევს რედაქტირებული მონაკვეთების მთელ კორპუსს. ამისათვის გამოყენებულია ლიტერატურული ხერხი, რომლის წყალობითაც ამგვარი შინაარსის თხრობებს, ავტორი მკითხველს ისტორიული მოღვაწეების პირით ამცნობს: მოსეს მონოლოგები წიგნის დასასრულსა და დასაწყისში, იესო ნავესძის მიმართეები აღთქმული მიწის დაკავების დანყებისა და დასრულებისას, სამუელის სიტყვა გარდაცვალების წინ, სოლომონის მიმართვა და ლოცვა ტაძრის კურთხევის წინ. ყველა ეს მონაკვეთი, შემდგენელისეული რეფლექსიების მსგავსად

წარმოადგენს ისტორიის მოგვიანო შეფასებასა და მისი თეოლოგიზირების მცდელობას.

გ. მთელი თხრობა მოქცეულია ერთი მთლიანი ქრონოლოგიის ჩარჩოში: ეგვიპტიდან გამოსვლისა და სოლომონის ტაძრის აშენებამდე პერიოდში.

დ. თეოლოგიური კონცეფცია, რომლის ქვეშაც არის განხორციელებული სარედაქციო სამუშაოები, ერთი კონკრეტული ტიპოლოგიისაა.

მარტინ ნოთის კვლევებსა და მოსაზრებებზე დაფუძნებული თეზა მალევე აღიარა და გაიზიარა საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებამ. გაზიარების პარალელურად მისი აკადემიური შეხედულებები კონტროვერსულად იქნა განხილული, გაკრიტიკებული, განვრცობილი ან გაუმჯობესებული. სწორედ ამიტომ, სადღეისოდ მისეული კონცეფცია იშვიათად გვხვდება პირვანდელი სახით, მაგრამ მისი კვლევების არსობრივი მიგნებები კლასიკურ თეზებად მიიზრება, რომელსაც გვერდს ვერავინ აუვლის.<sup>11</sup>

თემის ირგვლივ საინტერესო გამოკვლევებისა და სამეცნიერო დასკვნების ავტორია მიუნხენის უნივერსიტეტის ძველი აღთქმის ემირიტუს-პროფესორი ეკარტ ოტო (1944-), რომელმაც ამ საკითხს არაერთი აკადემიური ნაშრომი მიუძღვნა. მან II რჯ. ისტ. თხ. დაწვრილებით გამოიკვლია ასურულ-ბაბილონურ სამართალსა და სოციალურ ეთიკასთან მიმართებით.<sup>12</sup> სწორედ ამ კონტექსტში ეკარტის მიერ წარმოადგენილი დასკვნების მიხედვით საკითხის გასაღებს წიგნის სამართლებრივი ნაწილის სოციალურ თანასწორობაზე ორიენტირებული შინაარსი წარმოადგენს. ამგვარი ტიპოლოგიის მქონე და მონათესავე სახის ასურული სამართლებრივი რეგულაციების დაცვის გარანტიად შუამდინარულ კულტურულ სივრცეში გვევლინებოდა მეფე, თვითმმართველი, რომელიც ამავე დროულად წარმოადგენდა უმაღლეს ქურუმსაც. ვინაიდან ძველმა მეფობის გაუქმების შემდგომდროინდელ ისრაელში მიიღო საბოლოო სახე, სავარაუდოდ ავტორთა კოლეგიამ,<sup>13</sup> ამ შემთხვევაში რჯულის იურიდიული ფორმულირებით გადმოცემული ეთიკური

<sup>11</sup> Veijola T., Deuteronomismuskforschung zwischen Tradition und Innovation. In: ThR 67 (2002), 273-327.391-424 und ThR 68, 2003,1-44.

<sup>12</sup> Eckart O., Das Deuteronomium – Politische Theologie und Rechtsreform in Juda und Assyrien [Beihefte zur Zeitschrift für die Alttestamentliche Wissenschaft, Band 284] (Hrg. Otto Kaiser), Berlin, 1999, 56-60, 364-368.

<sup>13</sup> შდრ., იქვე, 359.

კონცეპტის თეოლოგიური არგუმენტაციის გზა აირჩია. ამ მიზნით მოხდა ხაზგასმა ღმერთის დამსჯელი ხატებისა, როგორც სოციალური სამართლიანობის უმალლესი გარანტორისა. ზენაარის უმალლესი მსაჯულის სახით ხაზგასმას და გამოკვეთას აძლიერებდა ისრაელის ისტორიული გამოცდილების ღვთის მიერ მოვლენილ სასჯელად ქვეყნის კულტურულ მესხიერებაში კოდირებაც. ამგვარი პროპიბიტიული (აკრძალვითი) ხასიათის მქონე თხრობას უნდა გაეძლიერებინა თეოლოგიურ, ეკონომიკურ და სოციალურ წანამძღვრებზე დაფუძნებული, თანასწორობაზე ორიენტირებული ეთიკური მოძღვრების ქმედითუნარიანობა.<sup>14</sup>

უალრესად საინტერესოა მეორე რჯულთას წიგნისმიერი ისტორიციისტული თხრობების რეცეფციის ქართული გამოცდილებაც, რომელიც უკანასკნელ ხანებში საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებისთვისაც კი საინტერესო გახდა.<sup>15</sup> კერძოდ, საქმე ეხება, „ჟამთააღმწერლის“ ზედწოდების მქონე, უცნობი ავტორის ტექსტს, რომელიც საქართველოს ისტორიის ასწლიან მონაკვეთს აღწერს. მონღოლების დომინაციის პერიოდში გადატანილ განსაცდელებს ქართველი მემბტიანეც უფლის მიერ მოვლენილ განსაცდელებად წარმოგვიდგენს და ამით ფაქტიურად იმეორებს ბიბლიური პერიოდის სწავლულ-რედაქტორების მეთოდოლოგიასა და პოლიტიკურ თეოლოგიას.<sup>16</sup> შუასაუკუნეობრივი ეს ქართული ისტორიციისტული თხრობა ხშირად აქტიურდება ხოლმე უკანასკნელ ხანებში, საეკლესიო წრეების მიერ ბუნებრივი კატასტროფებისა თუ პოლიტიკური გამონევეების უფლის მიერ მოვლენილ სასჯელად აღქმისას.<sup>17</sup>

<sup>14</sup> შდრ. Eckart O., *Forschungsgeschichte der Entwürfe einer Ethik im Alten Testament*. In: *Verkündigung und Forschung Altes Testament* (36. Jg. Heft), Hrg. Kaiser, Gütersloh, 1991, 26-28.

<sup>15</sup> შდრ., Tvaradze A., „Hundertjährige Chronik“ – Georgien in der Mongolenzeit. In: Hubert Kaufhold; Manfred Kropp (Hgg.): *Oriens Christianus – Hefte für die Kunde des christlichen Orients* (Band 91), Wiesbaden 2007.

<sup>16</sup> შდრ., ასწლოვანი ისტორია/ჟამთააღმწერელი, წიგნში: ქართლის ცხოვრება, ტ. 2, ს. ყაუხჩიშვილის რედაქტორობით, თბილისი, 1959, 154-155; 162-163; 165; 168; 183; 186-188; 277-278.

<sup>17</sup> მაგ., შდრ., თურაძე ე., ეპისკოპოსი სპირიდონი – პუტინის განცხადება აფხაზეთსა და სამაჩაბლოზე შედეგია ჩვენი ცოდვების. ონლაინ გამოცემა „ბათუმელები“, 13.07.2019, <[ibit.ly/rXTx](http://ibit.ly/rXTx)> [04.09.2021]; დეკანოზი დავით ქვლივიძე: ქადაგება იაპონიაში მომხდარი კატასტროფის შესახებ. აუდიომასალა <[ibit.ly/dzcx](http://ibit.ly/dzcx)> [04.09.2021]; სალინაშვილი ხ., განა ახლა კი დაუშ-

ზემოთ გაანალიზებული თეოლოგიური პლასტი - „ჩვენი ცოდვების გამო“ (ებრ. მი ფენეი ჰატაენუ,- 'נַפְמִי יוֹאֲחִי) ავთენტური სახით გააქტიურდა სატმარ-იუდაისტურ თემში ( ებრ.:**ראמסא**, იდიშ.:**ראמסא**) მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, რომლის მთავარი ფიგურისა და სულისჩამდგმელის, რაბი იოელ თაითელბაუმის (**Joel Teitelbaum, 1887-1979**) მთავარი თეზის მიხედვით: ებრაელები აითქვიფნენ უცხო ქვეყნებსა და კულტურებში, რის გამოც უფალმა მათ ჰოლოკოსტი მოუვლინა გამოსაფხიზლებლად.<sup>18</sup> შესაბამისად, ყველა გადარჩენილი ებრაელი მოვალეა, გააჩინოს იმაზე მეტი ებრაელი, ვიდრე ჰოლოკოსტმა შეიწირა. ხოლო ისრაელი, როგორც სახელმწიფო, უნდა გაქრეს, რათა დაჩქარდეს მესიის მოსვლა. თავის მხრივ, სატმარელი ხასიდების თეოლოგია კიდევ ერთხელ გახდა განსჯის საგანი მას შემდეგ, რაც ეკრანებზე ტელეკომპანია ნეტფლიქსის მიერ გადაღებული სერიალი „არაორთოდოქსი“ გამოვიდა.

---

ვებს უფალი დასავლეთთან დაახლოებას?! ეროვნულ-სარწმუნოებრივი ჟურნალი „ქვაკუთხედი“, N8 (27), 2008, 4-5.

<sup>18</sup> შდრ., Katz S.T., *Jewish Philosophers*, New York, 1975, 241.



## **INTERPRETATIVE HISTORICAL NARRATIVES OF THE DEUTERONOMY**

**Mirian Gamrekelashvili\***

The article focuses on the interpretative historical narratives of the Deuteronomy. Author briefly expounds the main scientific contexts on this subject, their Georgian heritage in the past and in the present, the egalitarian principles of the prohibitive biblical codexes.

Keywords: Deuteronomy, Egalitarian Principles, Prohibitive Biblical Codexes.

---

\* Doctor of Theology. Sulkhan-Saba Orbeliani University  
m.gamrekelashvili@sabauni.edu.ge